

„შეთანხმებულია”

„ვამტკიცებ”

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

შპს „მშენებელი 2004“-ს დირექტორი

-----/თ. კიკვაძე/

----- 2023

----- 2023

შპს „მშენებელი 2004“
ცემენტის წარმოება
(ქალაქი რუსთავი, მშვიდობის ქ. №1)

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად
დასაშვები გაფრქვევის ნორმების
პროექტი

შემსრულებელი შ.პ.ს. „BS Group”
159 Brothers Romelashvilebi st, Gori, Georgia
tel: +(0 370) 273365, 5 99 70 80 55, e-mail: Makich62@mail.ru

ანოტაცია

პროექტი შედგენილია გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დადგენილ მოთხოვნათა სრული შესაბამისობით.

პროექტში ასახულია საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ყველა შესაძლო ასპექტები, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროები და მათ მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, მოყვანილია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დასახასიათებლად აუცილებელ გაანგარიშებათა ჩატარებისთვის საჭირო საწყისი ინფორმაცია, საკუთრივ ამ გაანგარიშებათა მონაცემები და მათ საფუძველზე მიღებულ შედეგთა ანალიზი, გათვალისწინებულია საწარმოს განლაგების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს, ასევე განხილულია საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულზე დაყრდნობით დადგენილია საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევათა ნორმები დაბინძურების სტაციონარული წყაროების საპროექტო სიმძლავრით დატვირთვის პირობებისათვის.

პროექტი შესრულებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის თანამედროვე ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამის „ეკოლოგიკ.0“ გამოყენებით.

ძირითად ტერმინთა განმარტებანი

ამ ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებული ცნებები ნიშნავს:

„ატმოსფერული ჰაერი“ – ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;

„მავნე ნივთიერება“ – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

„ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება“ – ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში მავნე ნივთიერებათა არსებობის შედეგად;

„ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმა“ – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალოებული პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მავნე ზემოქმედებას;

„ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია“ – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით;

„ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია“ – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30-წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების მიხედვით;

„ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა“ – ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, რომ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს ამ წყაროს ზეგავლენის ტერიტორიისთვის დადგენილ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

„გარემო“ – ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს და ანთროპოგენულ ლანდშაფტს;

„ბუნებრივი გარემო“ – გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ლანდშაფტებს;

„გარემოზე ზემოქმედების შეფასება“ – დაგეგმილი საქმიანობის შესწავლისა და გამოკვლევის პროცედურა, რომლის მიზანია გარემოს ცალკეული ელემენტების, ადამიანის, ასევე ლანდშაპტისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; გარემოზე ზემოქმედების შეფასება შეისწავლის, გამოავლენს და აღწერს დაგეგმილი საქმიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ პოტენციურ ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრხოებაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა

სამყაროზე, ნიადაგზე, ჰაერზე, წყალზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე, ეკოსისტემებზე და ისტორიულ ძეგლებზე ან ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების ერთიანობაზე, მათ შორის ამ ფაქტორების ზეგავლენას კულტურულ ფასეულობებზე(მემკვიდრეობაზე) და სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე(ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის).

„ატმოსფეროს დაბინძურების პოტენციალი“ - მეტეოროლოგიური ფაქტორების კომპლექსი, რომელიც განაპირობებს ატმოსფეროს უნარს განაზავოს ჰაერში არსებული მინარევები.

„გარემოს დაბინძურება“ - გარემოს კომპონენტებში შენარევების არსებობა ან მათ შემადგენლობაში მუდმივად არსებული ნივთიერებების ნორმალური თანაფარდობის შეცვლა, რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე და ჯანმრთელობაზე, აგრეთვე გარემო ფაქტორებზე.

„ფონური დაბინძურება“ - გარემოს კომპონენტების დაბინძურების ყველა არსებული წარმოების ერთობლივი მოქმედება, რომელიც ჩამოყალიბდა გარკვეულ რაიონში, ახალი ობიექტის მშენებლობისას ან არსებული წყაროების სავარაუდო გაფართოების მომენტისათვის.

სარჩევი

ანოტაცია

სარჩევი

ძირითად ტერმინთა განმარტებანი

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ -----	6
2. საწარმოს განლაგების რაიონის მოკლე ბუნებრივ-კლიმატური დახასიათება, მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს -----	7
3. საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით -----	11
4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები -----	12
5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში -----	13
6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები-----	21
ცხრილი 6.1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება-----	22
ცხრილი 6.2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება-----	23
ცხრილი 6.3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების მუშაობის მაჩვენებლები-----	25
ცხრილი 6.4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზება-----	26
7. ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელი ემისიების სახეობები და რაოდენობები, მიღებული შედეგების ანალიზი-----	27
8. ზდგ-ის ნორმები ხუთწლიან პერიოდში თითოეული გაფრქვევის წყაროსთვის და თითოეული მავნე ნივთიერებისათვის, ასევე მთლიანად საწარმოსათვის ხუთწლიან პერიოდში-----	28
ლიტერატურული წყაროები-----	29
დანართი 1, საწარმოს გენ-გეგმა მასზე მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების ჩვენებით--	30
დანართი 2, საწარმოს ორთოფოტო უახლოეს მოსახლემდე მანძილის მითითებით -----	31
დანართი 3, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მანქანური ამონაბეჭდი--	32

1.ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ(იხ. ცხრილი 1.1.);

ცხრილი 1.1.

ობიექტისდასახელება	შპს „მშენებელი 2004“
ობიექტისმისამართი:	
ფაქტიური	ქალაქი რუსთავი, მშვიდობის ქ.№1
იურიდიული	ქალაქი რუსთავი, მშვიდობის ქ.№1
საიდენტიფიკაციო კოდი	216399626
GPS კოორდინატები (UTM WGS 1984 კოორდინატთა სისტემა)	X- 501350 Y-4601350
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	თენგიზ კიკვაძე
ტელეფონი	5 77 52 49 89
ელ-ფოსტა	geobuilder_cement@inbox.ru
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	241 მ
ეკონომიკური საქმიანობის სახე	ცემენტის წარმოება,
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	სხვადასხვა მარკის ცემენტი
საპროექტოწარმადობა	35640 ტ/წელი (8 ტონა/საათი წისქვილი - 17600ტონა/წელი; 3 ტონა/საათი წისქვილი - 18040ტონა/წელი)
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	8 ტონა/საათი წისქვილისათვის: კლინკერი-14100ტ, თაბაშირი-900ტ, ღორღი - 2600ტ. 3 ტონა/საათი წისქვილისათვის: კლინკერი-14400ტ, თაბაშირი-940ტ, ღორღი - 2700ტ.
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერგამოყენებულის გარდა)	-
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	8 ტონა/საათი წისქვილისათვის: 110 3 ტონა/საათი წისქვილისათვის: 300
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	8 ტონა/საათი წისქვილისათვის: 20 3 ტონა/საათი წისქვილისათვის: 20

2. საწარმოს განლაგების რაიონის მოკლე ბუნებრივ-კლიმატური დახასიათება, მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს

რუსთავის კლიმატური პირობები გარდამავალია ხმელთაშუა ზღვისა და სტეპს შორის. ხასიათდება არა მკაცრი, თოვლიანი ზამთრით და მშრალი, ზომიერი და ცხელი ზაფხულით ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში და დიაგრამებზე წარმოდგენილია კლიმატის მახასიათებლები აღებულია („სამშენებლო კლიმატოლოგია“) მიხედვით, საკვლევი ტერიტორიისათვის უახლოესი მეტეოსადგურის (რუსთავი) მონაცემების გათვალისწინებით.

ცხრილი 2.1 გარე ჰაერის ტემპერატურა

სადგური	გარე ჰაერის ტემპერატურა, °C																			პერიოდი <8°C	საშუალო თვიური ტემპერატურით	საშუალო ტემპერატურა 13 საათზე					
	თვის საშუალო													წლის საშუალო	აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი	ყველაზე ცივი ხუთ-დღიური საშუალო	ყველაზე ცივი დღის საშუალო				ყველაზე ცივი პერიოდის საშუ.	ხანგრძლივობა დღეების	საშუალო ტემპერატურა	ყველაზე ცივი დღისათვის	ყველაზე ცხელი დღისათვის
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი															
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24				
რუსთავი	0.8	2.6	6.6	11.9	17.5	21.6	25.0	25.0	20.3	14.4	7.7	2.6	13.0	-24	41	31.4	-8	-11	0.7	133	3.2	3.9	29.3				

ცხრილი 2.2 ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიური ფარდობითი ტენიანობის მნიშვნელობები

სადგური	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა													საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე	ფარდ. ტენიანობის საშ. დღელამური ამპლიტუდა		
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი თვისათვის	ყველაზე ცხელი თვისათვის	ყველაზე ცივი თვისათვის	ყველაზე ცხელი თვისათვის
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	21	22	23	24
რუსთავი	74	70	68	63	63	58	55	54	62	69	77	77	66	62	41	18	30

ცხრილი 2.3 ნალექების რაოდენობა, მმ

ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი, მმ
382	123

ცხრილი 2.4. ქარის მახასიათებლები

ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20. წელიწადში ერთხელ. მ/წმ				
1	5	10	15	20
25	29	31	32	33


ცხრილი 2.5 ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარეები

ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე მ/წმ	
იანვარი	ივლისი
5.8/1.7	8.2/3.5

ცხრილი 2.6. ქარის სხვადასხვა მიმართულებებისა და შტილის განმეორადობა(%)

თვე	ჩ	ჩ-აღმ.	აღმ.	ს-აღმ.	ს	ს-დ	დ.	ჩდ-დ	შტილი
წლიური	8	4	7	12	10	3	7	49	18

ნახ. 2.1. ქარის მიმართულებების განმეორადობა (პროცენტებში).



ცხრილი 2.7 ქარის სიჩქარის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები(მ/წმ)

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
რუსთავი	4.4	6.0	5.3	4.9	5.2	5.4	6.0	4.9	4.5	4.2	3.1	3.4	4.8

ქალაქ რუსთავში საშუალო წლიური ნალექების ჯამი 360 მმ-დან 390 მმ-დე მერყეობს. ნალექების მთავარი მაქსიმუმი მაისშია (64 მმ.). ყველაზე მშრალი თვე იანვარია, როცა ნალექების საშუალო რაოდენობა 13 მმ-ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება ნალექების სეზონურ განაწილებას, ამ მხრივ დამახასიათებელია შედარებით უხვნალექიანობა წლის თბილ პერიოდში (აპრილი-ოქტომბერი) და მცირენალექიანობა წლის ცივ პერიოდში (ნოემბერი-მარტი).

ცხრილი 2.8. ატმოსფერული ნალექების ჯამის საშუალო მნიშვნელობები(მმ)

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
რუსთავი	13	17	28	39	64	55	28	28	32	33	28	17	382

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მდგომარეობა

ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე მეტეოპარამეტრებისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 2.9.

ცხრილი 2.9.

მახასიათებლების დასახელება	მახასიათებლის მნიშვნელობა
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
რელიეფის კოეფიციენტი	1,0
წლის ყველაზე ცხელი თვისას ჰაერის საშუალო ტემპერატურა	25.0
წლის ყველაზე ცივი თვისას ჰაერის საშუალო ტემპერატურა	0.8
საშუალო ქართა ვარდის მდგენელები, %	
ჩრდილოეთი	8
ჩრდილო-აღმოსავლეთი	4
აღმოსავლეთი	7
სამხრეთ-აღმოსავლეთი	12
სამხრეთი	10
სამხრეთ-დასავლეთი	3
დასავლეთი	7
ჩრდილო-დასავლეთი	49
შტელი	18
ქარის სიჩქარე (მრავალწლიურ დაკვირვებათა გასაშუალოებით), რომლის გადაჭარბების განმეორადობაა 5%, მ/წმ	12,9

ფონური კონცენტრაციის მნიშვნელობები დგინდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ატმოსფეროს დაბინძურების დაკვირვების პოსტებზე რეგულარული დაკვირვებების მონაცემების საფუძველზე. ამ მონაცემების არარსებობის შემთხვევაში ფონური კონცენტრაციის სავარაუდო მნიშვნელობები აიღება ცხრილი 2.10.-ის მიხედვით.

ცხრილი 2.10

მოსახლეობის რიცხვი (ათასი მოსახლე)	მავნე ნივთიერება			
	მტვერი	გოგირდის დიოქსიდი	აზოტის დიოქსიდი	ნახშირჟანგი
1	2	3	4	5
ნაკლები 10-ზე	0	0	0	0
10-50	0.1	0.02	0.008	0.4
50-125	0.15	0.05	0.015	0.8
125-250	0,2	0.05	0.03	1.5

მოცემულ შემთხვევაში ქ. რუსთავისათვის გამოყენებული იქნება ცხრილის მეოთხე რიგში (125-250ათ.კაცი) მოცემული მნიშვნელობები.

3. საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით

საწარმოს ტერიტორიაზე დამონტაჟებულია ორი ბურთულებიანი წისქვილი წარმადობებით 3 ტონა/საათი და 8ტონა/საათი, საიდანაც 8ტონა/საათი წარმადობის ბურთულებიანი წისქვილი იმყოფება ექსპლუატაციაში, ხოლო 3 ტონა/საათი წარმადობის ბურთულებიანი წისქვილი არის ავარიულ მდგომარეობაში. კომპანიას დაგეგმილი აქვს აღნიშნული წისქვილის სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რის შემდგომ მოხდება ორივე წისქვილის ერთდროული ექსპლუატაცია, რა დროსაც უკვე არსებული ტექნოლოგიური დანადგარები, როგორებიცაა ნედლეულის საწყობი, ცემენტის სილოსები, ცემენტის გაცემის ტექნოლოგიური დანადგარები და სხვა გამოყენებული იქნება საერთო სარგებლობაში როგორც ერთი, ასევე მეორე წისქვილისათვის. საწარმოში ადგილი ჰქონდა ბეტონის წარმოებას, რაც გაუქმებული იქნა.

ტერიტორიაზე კლინკერის და დანამატების შემოტანა ხდება მაღალი ტვირთამწეობის ავტოთვითმცლელებით. კლინკერი იცლება სახურავის ქვეშ ერთი მხრიდან კედლების მქონე საწყობში, ხოლო დანამატების (ღორღი, თაბაშირი) ჩამოცლა ავტოტრანსპორტიდან ხდება ორი მხრიდან კედლების მქონე საწყობში და შემდგომ ბორბლებიანი სატვირთელით იყრება ორი მხრიდან კედლების მქონე ზემოდან გადახურულ საწყობში, კლინკერის საწყობის მიმდებარედ. ტერიტორიის ზედაპირზე დარჩენილი მცირე რაოდენობით დანამატები იხვეტება (ნიჩბებით და ცოცხებით) და იყრება დანამატების საწყობში, საჭიროების შემთხვევაში იწმინდება სველი წესით მცირე რაოდენობის წყლის გამოყენებით და მიღებული მასა ასევე იყრება იმავე საწყობში. ნედლეულის მიღება/დასაწყობებას ადგილი აქვს 8 საათიანი რეჟიმით სამუშაო დღის განმავლობაში. ნედლეული კოვშიანი სატვირთელით დოზირებულად იყრება როგორც 3ტონა/საათი, ასევე 8ტონა/საათი წარმადობის ბურთულებიანი წისქვილების მკვებავ ბუნკერებში, რომელთა ქვეშ დამონტაჟებულია ლენტური ტრანსპორტიორები. ბურთულებიანი წისქვილებში კაზმის ჩაყრა ხდება აღნიშნული ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით. წისქვილიდან დაფქვილი პროდუქტი ცემენტის სახით დახურული ხრახნული კონვეიერით გადაიტვირთება ტერიტორიაზე არსებულ 7 საერთო სილოსში, ტევადობებით 3 ცალი - 80 ტონა თითოეული, 4 ცალი - 50 ტონა თითოეული. სილოსებიდან ცემენტის გაცემა ხდება როგორც ცემენტმზიდებზე, ასევე ტომრებში. ცემენტმზიდებში ჩაყრა წარმოებს 8 საათიანი რეჟიმით, რა დროსაც

გამოყენებულია ჩამტვირთავი სახელო, ხოლო ტომრებში დაფასობისას გამოყენებულია პნევმოტრანსპორტი, სადაც ფუნქციონირებს ერთი საერთო კომპრესორი ყველა დამფასობელი დანადგარისათვის. ცემენტის დაფასობა ხდება სამი მხრიდან დახურულ ნაგებობაში.

ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გაფრქვევის შემცირების მიზნით ფუნქციონირებს მტვერდამჭერი სისტემა, კერძოდ: დაფქვილი ცემენტი თავდაპირველად იყრება დახურულ მტვერდამლექ კამერებში, მტვერდაჭერის ეფექტურობით 10% თითოეული წისქვილისათვის, სადაც გამოყოფილი მტვერი გაივლის ციკლონებში მტვერდაჭერის ეფექტურობით 70% 3ტონა/საათი წარმადობის წისქვილისათვის და 80% 8ტონა/საათი წარმადობის წისქვილისათვის და შემდგომ - ორ, ერთმანეთის მიმდებარედ განლაგებულ სახელოიან ფილტრებში, რომელთა მტვერდაჭერის ეფექტურობა შეადგენს 99,9%-ს 3ტონა/საათი წარმადობის წისქვილისათვის და 99,8%-ს 8ტონა/საათი წარმადობის წისქვილისათვის. სილოსებში ცემენტის ჩატვირთვისას წარმოქმნილი მტვერი გადაადგილდება სილოსების კედლებზე დატანილ მილებში, რომლებიც დაშვებულია დაახლოებით 0,8 მეტრი სიმაღლის ბეტონის ზედაპირის მქონე მოედანზე და ჩაშვებულია მილებზე ჰერმეტიკულად დამაგრებულ ტომრებში. სამუშაო დღის განმავლობაში ტომრების მიმდებარედ დაგროვილი მტვრის შეგროვება და ჩაყრა რეგულარულად ხდება სპეციალურ ბუნკერში, რომელიც შემდგომში ჩაიყრება წისქვილების მტვერდამლექ კამერაში, ხოლო სამუშაო დღის ბოლოს ხდება ტომრების მოხსნა მილებიდან და მათში დაგროვილი ცემენტის მტვრის ჩაყრა იმავე ბუნკერში, რომელიც შემდგომში ასევე ჩაიყრება მტვერდამლექ კამერაში. ბურთულებიანი წისქვილებიდან წარმოქმნილი მტვრის გაფრქვევა ატმოსფეროში ხდება 3ტონა/საათი ბურთულებიანი წისქვილის შემთხვევაში 12 მეტრი სიმაღლის და 0,3 მეტრი დიამეტრის მილით, ხოლო 8ტონა/საათი ბურთულებიანი წისქვილის შემთხვევაში - 9 მეტრი სიმაღლის და 0,4 მეტრი დიამეტრის მილით, რომელზეც მტვრის კონცენტრაციის უწყვეტი მონიტორინგის რეგისტრაციის მიზნით მოწყობილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირებული უწყვეტი მონიტორინგის დანადგარი. ასეთივე დანადგარის მოწყობა დაგეგმილია 3ტონა/საათი ბურთულებიანი წისქვილის მტვრის გაფრქვევის მიღზე მისი სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდგომ ექსპლუატაციაში მიღების წინ. მტვერდამჭერებში წარმოქმნილი მტვერი ბრუნდება ბუნკერებში, საიდანაც გადაიტვირთება სილოსებში.

საწარმოს ფუნქციონირებისას ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების გაფრქვევას არაორგანული და ცემენტის მტვრის სახით, ხოლო გაფრქვევის წყაროები შემდეგია: ბურთულებიანი წისქვილები, სილოსები, ცემენტის ტომრებში დაფასობის დანადგარები და ცემენტმზიდებში ჩატვირთვის ადგილები, ლენტური ტრანსპორტიორები, ნედლეულის საწყობი, წისქვილების მკვებავი ბუნკერები.

4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები(იხ. ცხრილი 4.1.);

ცხრილი 4.1.

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვების კონცენტრაცია მგ/მ ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2909	ინერტული მასალის მტვერი	0.5	0.15	3
2908	მტვერი ცემენტის	0.3	0,1	3

**5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში
ცემენტის მტვრის გაფრქვევების ანგარიში ცემენტის დაფქვისას 8 ტონა/საათი ბურთულეზიან
წისქვილში, გ-2**

ცემენტის დაფქვისას (პერიფერიული დაცლით) წარმოქმნილი აირნარევის მოცულობა ლიტერატურული წყაროს [2] ყოველ 1 კგ ცემენტზე შეადგენს 0.7 მ³/კგ-ს, ხოლო მტვრის კონცენტრაცია აირნარევაში შეადგენს 300 გ/მ³. რადგან წისქვილის წარმადობა ტოლია 8 ტ/სთ-ის მაშინ წარმოქმნილი აირნარევის მოცულობა ტოლი იქნება $8 \times 0.7 \times 1000 = 5600$ მ³/სთ. ხოლო გასაწმენდად მოხვედრილი მტვრის რაოდენობა ტოლი იქნება $5600 \times 300 / 3600 = 466,667$ გ/წმ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს აირნარევი პირველად გაივლის მტვერდამჭერ საკანს, რომლის ეფექტურობად მიღებულია 10%, მივიღებთ:

$$M = 466,667 - (466,667 \times 10 / 100) = 420,0 \text{ გ/წმ}$$

მეორე საფეხურის გამწმენდ დანადგარში, ციკლონში გავლის შემდეგ, რომლის გაწმენდის ეფექტურობად მიღებულია 80,0%, მივიღებთ:

$$M = 420,0 - (420,0 \times 80,0 / 100) = 84,0 \text{ გ/წმ.}$$

მესამე საფეხურის მტვერდამჭერ დანადგარში, რომელიც წარმოადგენს ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ სახელოიან ფილტრს, საერთო მტვერდამჭერის ხარისხით 99,8%, გავლის შემდგომ, მივიღებთ:

$$M = 84,0 - (84,0 \times 99,8 / 100) = 0,168 \text{ გ/წმ.}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ წისქვილის სამუშაო რეჟიმი შეადგენს 110 სამუშაო დღეს 20 საათიანი გრაფიკით, ანუ წელიწადში იმუშავებს 2200 სთ, მაშინ წლის განმავლობაში გაფრქვეული მტვრის რაოდენობა ტოლი იქნება:

$$G = 0,168 \times 3600 \times 2200 / 10^6 = 1,33 \text{ ტ/წელ.}$$

ცემენტის მტვრის გაფრქვევის ანგარიში სილოსებიდან

ლიტერატურული წყაროს [2]-ის თანახმად 1 ტონა ცემენტის გადატვირთვისას ჰაერში გაფრქვეული მტვრის რაოდენობა შეადგენს 0,08 კგ-ს. სულ გადატვირთული ცემენტის რაოდენობა(ორივე წისქვილის მუშაობის შემთხვევაში) ტოლია 35640 ტონის. საწარმოში ფუნქციონირებს 7 სილოსი, რომლებშიც გადაიტვირთება ორივე წისქვილში დაფქვილი ცემენტი. 8 ტონა/საათი წარმადობის წისქვილის მუშაობის ხანგრძლივობა შეადგენს 2200 საათს წლის განმავლობაში, ხოლო გადატვირთული ცემენტის რაოდენობა ტოლია 17600 ტონა/წელის, 3 ტონა/საათი წარმადობის წისქვილის მუშაობის ხანგრძლივობა შეადგენს 6000 საათს წლის განმავლობაში, ხოლო გადატვირთული ცემენტის რაოდენობა ტოლია 18040 ტონა/წელის. სილოსებიდან ცემენტის ჩატვირთვისას წარმოქმნილი მტვერი გაიფრქვევა სილოსების კედლებზე დატანილი მილების საშუალებით, რომლებიც დაშვებულია მიწიდან დაახლოებით 0,8 მეტრი სიმაღლის ბეტონის ზედაპირის მქონე მოედანზე და ჩაშვებულია მილებზე ჰერმეტიკულად დამაგრებულ ტომრებში. ცემენტის მტვრის გაფრქვევა წარმოებს აღნიშნული ტომრებიდან, რომლებიც განიხილება როგორც ქსოვილის ფილტრი, მტვერდამჭერის ხარისხით 98%. ცემენტის ჩაყრა სილოსებში ხორციელდება ხრახნული კონვეიერის საშუალებით. აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით სილოსებიდან ჰაერში გაფრქვეული ცემენტის მტვრის საერთო ინტენსივობა ტოლია:

8 ტონა/საათი წისქვილისათვის:

$$G = 17600 \times 0,08 \times 0,02 / 10^3 = 0,02816 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,02816 \times 10^6 / (2200 \times 3600) = 0,00355 \text{ გ/წმ}$$

3 ტონა/საათი წისქვილისათვის:

$$G = 18040 \times 0,08 \times 0,02 / 10^3 = 0,0288 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,0288 \times 10^6 / (6000 \times 3600) = 0,00133 \text{ გ/წმ}$$

სულ სილოსებიდან გაიფრქვევა:

$$M = 0,00355 + 0,00133 = 0,00488 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,02816 + 0,0288 = 0,057 \text{ ტ/წელ}$$

ცემენტის მტვრის გაფრქვევის ანგარიში თითოეული სილოსიდან, გ-2; გ-3; გ-4; გ-5; გ-6; გ-7; გ-8

საწარმოს პირობებიდან გამომდინარე თითოეული სილოსიდან გაფრქვეული მტვრის ინტენსივობა ერთმანეთის ტოლია და შეადგენს სილოსებიდან გაფრქვეული მტვრის საერთო ინტენსივობის 1/7 ნაწილს, რაც ტოლია:

$$G = 0,057 / 7 = 0,008 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,00489 / 7 = 0,0007 \text{ გ/წმ}$$

შემდგომში გათვლების წარმოებისას გამოყენებული იქნება ლიტერატურული წყარო[4], დანართი 117-ის შესაბამისად რეკომენდირებული კოეფიციენტი (ტექნოლოგიური პროცესი ხორციელდება ღია ცის ქვეშ ან ისეთ შენობაში, რომელსაც არ აქვს გამწოვი ვენტილაცია), კერძოდ 0,4.

ცემენტის მტვრის გაფრქვევის ანგარიში ცემენტის გაცემისას ცემენტშიდებზე

ცემენტის გაცემა ცემენტშიდებზე წარმოებს ცემენტის მექანიკური ჩაყრით ორი ჩამტვირთველის საშუალებით ცემენტშიდების ლუქში.

ლიტერატურული წყარო[5]-ის ცხრილი 8.11.-ის მიხედვით ცემენტის გადატვირთვისას ატმოსფეროში გაფრქვეული ცემენტის მტვრის ინტენსივობა შეადგენს 0,08კგ/ტ-ს.

საწარმოს პირობების გათვალისწინებით, ცემენტშიდებზე გაცემა ხდება წარმოებული ცემენტის 50%-ის, ანუ 17820 ტონის. ცემენტშიდებზე გაცემა წარმოებს 8 საათიანი სამუშაო რეჟიმის პირობებში 300 დღის განმავლობაში. გადატვირთვისას ფუნქციონირებს ჩამტვირთავი სახელო. აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, ცემენტშიდებში ჩატვირთვისას გაიფრქვევა:

$$G = 0,4 \times 17820 \times 0,08 \times 0,005 / 1000 = 0,00285 \text{ ტ/წელი}$$

$$M = 0,00285 \times 10^6 / (2400 \times 3600) = 0,00033 \text{ გ/წმ};$$

ცემენტის მტვრის გაფრქვევის ანგარიში ცემენტის გაცემისას თითოეული ჩამტვირთველიდან, გ-9; გ-10;

საწარმოს პირობების მიხედვით:

$$M_{\text{გ-9}} = 0,00033 / 2 = 0,000165 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{გ-9}} = 0,00285 / 2 = 0,001425 \text{ ტ/წელი};$$

$$M_{\text{გ-10}} = 0,000165 \text{ გ/წმ};$$

$$G_{\text{გ-10}} = 0,001425 \text{ ტ/წელი};$$

ცემენტის მტვრის გაფრქვევის ანგარიში ცემენტის დაფასოებისას ტომრებში

ცემენტის დაფასოება ხდება თითოეულ სილოსთან არსებული 2-2 დამფასოებელი დანადგარებიდან, რომლებიც (2-2 დამფასოებელი) მათი ერთმანეთთან ახლო მდებარეობის გამო, განიხილება ერთი გაფრქვევის წყაროდ.

ლიტერატურული წყარო[5]-ის ცხრილი 8.10.-ის მიხედვით ცემენტის გადატვირთვისას პნევმოტრანსპორტით ატმოსფეროში გაფრქვეული ცემენტის მტვრის ინტენსივობა შეადგენს 0,8კგ/ტ-ს.

საწარმოს პირობების გათვალისწინებით, ცემენტის დაფასოება ტომრებში ხდება წარმოებული ცემენტის საერთო რაოდენობის 50%-ის, ანუ 17820 ტონის. დამფასოებელი დანადგარები განთავსებულია 3 მხრიდან დახურულ ნაგებობაში და ფუნქციონირებს ღია ცის ქვეშ. აღნიშნული პირობების გათვალისწინებით სულ ცემენტის დამფასოებელი დანადგარებიდან გაფრქვეული მტვრის ინტენსივობები ტოლია:

$$G = 0,4 \times 17820 \times 0,8 \times 0,1 / 1000 = 0,57 \text{ ტ/წელი}$$

$$M = 0,57 \times 10^6 / (6000 \times 3600) = 0,0264 \text{ გ/წმ};$$

ცემენტის მტვრის გაფრქვევის ანგარიში ცემენტის დამფასოებელი დანადგარებიდან, გ-11; გ-12; გ-13; გ-14; გ-15; გ-16; გ-17

თითოეულ ცემენტის სილოსთან ფუნქციონირებს ერთმანეთთან ახლოს განთავსებული 2-2 დამფასოებელი დანადგარი. მათი ურთიერთმდებარეობის გათვალისწინებით, ყოველი 2 დამფასოებელი დანადგარი განხილული იქნება ერთი გაფრქვევის წყაროდ.

საწარმოს პირობების მიხედვით თითოეული გაფრქვევის წყაროდან გაიფრქვევა:

$$G = 0,57 / 7 = 0,0814 \text{ ტ/წელი};$$

$$M = 0,0264 / 7 = 0,00377 \text{ გ/წმ};$$

მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის დაყრა/შენახვისას ნედლეულის საწყობიდან, გ-18

კლინკერი იცლება სახურავის ქვეშ ერთი მხრიდან კედლის მქონე საწყობში, ხოლო დანამატების ჩამოცლა ავტოტრანსპორტიდან ხდება ორი მხრიდან კედლების მქონე ტერიტორიაზე, საიდანაც ბორბლებიანი სატვირთელით იყრება სახურავის მქონე ორი მხრიდან კედლების მქონე საწყობში. ნედლეულის მიღება ხდება 300 სამუშაო დღის განმავლობაში 8 საათიანი რეჟიმით. მავნე ნივთიერებების გაფრქვევას ადგილი აქვს როგორც ნედლეულის დაცლისას, ღორღის საწყობის მიმდებარე ტერიტორიიდან საწყობში გადატვირთვისას, ასევე შენახვისას. იმასთან დაკავშირებით, რომ ნედლეულის დაცლა/შენახვას ადგილი აქვს ერთსა და იმავე საწყობში, სადაც კლინკერი და ინერტული მასალები განთავსებულია ერთმანეთის მიმდებარედ, ამიტომ განხილულნი იქნებიან ერთი გაფრქვევის წყაროდ. საწარმოს შეუფერხებელი მუშაობისათვის უზრუნველყოფილი იქნება ნედლეულის ისეთი რაოდენობის შემოტანა და შენახვა, რომ არ მოხდეს საწარმოს მუშაობის შეფერხება. როგორც ცნობილია 8 ტონა/საათი წარმადობის წისქვილის მუშაობის ხანგრძლივობა შეადგენს 110 სამუშაო დღეს წელიწადში 20 საათიანი გრაფიკით დღე-ღამეში, ხოლო 3 ტონა/საათი წარმადობის წისქვილის მუშაობის ხანგრძლივობა - 300 სამუშაო დღეს წელიწადში 20 საათიანი გრაფიკით. გათვლები წარმოებული ცალ-ცალკე თითოეული სამუშაო რეჟიმის პირობებისათვის და მოხდება მათი სუმაცია. გაფრქვეული მტვრის ინტენსივობა(გ/წმ) იანგარიშება ლიტერატურული წყარო [2]-ით მოწოდებული შემდეგი ფორმულით:

$$M = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times B \times G \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ}, \text{-----}(1), \text{ სადა:}$$

K₁ - მასალაში მტვრის ფრაქციის წილის მაჩვენებელი კოეფიციენტი;

K₂- მტვრის მთელი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილის მაჩვენებელი კოეფიციენტი;

K₃ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი;

K₄- გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მაჩვენებელი კოეფიციენტი;

K₅- მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი;

K₇- მასალის სიმსხვილეზე დამოკიდებულების მაჩვენებელი კოეფიციენტი;

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი;

G - ობიექტის მწარმოებლობა ტ/სთ;

ცემენტის მტვრის გაფქვევის ანგარიში 8 ტონა/საათი წარმადობის წისქვილისათვის საჭირო რაოდენობის კლინკერის საწყობში დაყრისას

ფორმულა(1)-ში შემავალი სიდიდეები წარმოდგენილია ცხრილში 5.1.

ცხრილი 5.1.

№	პარამეტრის დასახელება	აღნიშვნა	პარამეტრის მნიშვნელობა
			კლინკერი
1	2	3	4
1	მასალაში მტვრის ფრაქციის წილი	K ₁	0,01
2	მტვრის მთელი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილი	K ₂	0,003
3	მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენა	K ₃	1,2
4	გარეშეზე მოქმედებისაგან საწყობის დაცვით უნარიანობა	K ₄	0,5
5	მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენა	K ₅	1,0
6	მასალის სიმსხვილეზე დამოკიდებულება	K ₇	0,5
7	შემასწორებელი კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა გამოიყენება ავტოთვითმცლელიდან მასალის სწრაფი ზალკური დაცლის შემთხვევაში	K ₉	0,1
7	გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი	B	0,5
8	ობიექტის მწარმოებლობა ტ/სთ	G	16,022

$$M = 0,4 \times 0,01 \times 0,003 \times 1,2 \times 0,5 \times 1,0 \times 0,5 \times 0,1 \times 0,5 \times 16,022 \times 10^6 / 3600 = 0,0008 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,0008 \times 110 \times 8 \times 3600 / 10^6 = 0,0025 \text{ ტ/წელ};$$

ცემენტის მტვრის გაფქვევის ანგარიში 3 ტონა/საათი წარმადობის წისქვილისათვის საჭირო რაოდენობის კლინკერის საწყობში დაყრისას

გაფრქვეული მტვრის ინტენსივობა(გ/წმ) იანგარიშება (1) ფორმულით, სადაც:

$$K_1 = 0,01; K_2 = 0,003; K_3 = 1,2; K_4 = 0,5; K_5 = 1,0; K_7 = 0,5; K_9 = 0,1; B = 0,5; G = 6,0$$

$$M = 0,4 \times 0,01 \times 0,003 \times 1,2 \times 0,5 \times 1,0 \times 0,5 \times 0,1 \times 0,5 \times 6,0 \times 10^6 / 3600 = 0,0003 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,0003 \times 300 \times 8 \times 3600 / 10^6 = 0,0026 \text{ ტ/წელ};$$

არაორგანული მტვრის გაფქვევის ანგარიში 8 ტონა/საათი წარმადობის წისქვილისათვის საჭირო რაოდენობის დანამატების საწყობში დაყრისას

გაფრქვეული მტვრის ინტენსივობა(გ/წმ) იანგარიშება (1) ფორმულით, სადაც:

ღორღი:

$$K_1 = 0,04; K_2 = 0,02; K_3 = 1,2; K_4 = 0,2; K_5 = 0,1; K_7 = 0,6; K_9 = 0,1; B = 0,5; G = 2,955$$

$$M = 0,4 \times 0,04 \times 0,02 \times 1,2 \times 0,2 \times 0,1 \times 0,6 \times 0,1 \times 0,5 \times 2,955 \times 10^6 / 3600 = 0,00019 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,00019 \times 110 \times 8 \times 3600 / 10^6 = 0,0006 \text{ ტ/წელ};$$

თაბაშირი:

$$K_1 = 0,04; K_2 = 0,03; K_3 = 1,2; K_4 = 0,2; K_5 = 0,9; K_7 = 0,5; K_9 = 0,1; B = 0,5; G = 1,023$$

$$M = 0,4 \times 0,04 \times 0,03 \times 1,2 \times 0,2 \times 0,9 \times 0,5 \times 0,1 \times 0,5 \times 1,023 \times 10^6 / 3600 = 0,00074 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,00074 \times 110 \times 8 \times 3600 / 10^6 = 0,0023 \text{ტ/წელ};$$

არაორგანული მტვრის გაფქვევის ანგარიში 3 ტონა/საათი წარმადობის წისქვილისათვის საჭირო რაოდენობის დანამატების საწყობში დაყრისას

გაფრქვეული მტვრის ინტენსივობა(გ/წმ) იანგარიშება (1) ფორმულით, სადაც:

ღორღი:

$$K_1 = 0,04; K_2 = 0,02; K_3 = 1,2; K_4 = 0,2; K_5 = 0,1; K_7 = 0,6; K_9 = 0,1; B = 0,5; G = 1,125$$

$$M = 0,4 \times 0,04 \times 0,02 \times 1,2 \times 0,2 \times 0,1 \times 0,6 \times 0,1 \times 0,5 \times 1,125 \times 10^6 / 3600 = 0,000072 \text{გ/წმ};$$

$$G = 0,000072 \times 300 \times 8 \times 3600 / 10^6 = 0,00062 \text{ტ/წელ};$$

თაბამირი:

$$K_1 = 0,04; K_2 = 0,03; K_3 = 1,2; K_4 = 0,2; K_5 = 0,9; K_7 = 0,5; K_9 = 0,1; B = 0,5; G = 0,4$$

$$M = 0,4 \times 0,04 \times 0,03 \times 1,2 \times 0,2 \times 0,9 \times 0,5 \times 0,1 \times 0,5 \times 0,4 \times 10^6 / 3600 = 0,000288 \text{გ/წმ};$$

$$G = 0,000288 \times 300 \times 8 \times 3600 / 10^6 = 0,0025 \text{ტ/წელ};$$

არაორგანული მტვრის გაფრქვევის ანგარიში დანამატების საწყობის მიმდებარე ტერიტორიიდან საწყობში გადაყრისას

ინერტული მასალების საწყობში გადაყრისას ლიტერატურული წყარო[2]-ის მიხედვით გამოითვლება ფორმულით:

$$M = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times K_8 \times K_9 \times B \times G \times 10^6 / 3600 \text{გ/წმ}, \text{-----}(2)$$

$$\Pi = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times K_8 \times K_9 \times B \times G_{\text{წელი}} \text{ ტ/წელი}, \text{-----}(3), \text{ სადაც:}$$

K_1 - მასალაში მტვრის ფრაქციის წილის მაჩვენებელი კოეფიციენტი;

K_2 - მტვრის მთელი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილის მაჩვენებელი კოეფიციენტი;

K_3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი;

K_4 - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მაჩვენებელი კოეფიციენტი;

K_5 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი;

K_7 - მასალის სიმსხვილეზე დამოკიდებულების მაჩვენებელი კოეფიციენტი;

K_8 – შემასწორებელი კოეფიციენტი სხვადასხვა ტიპის გადამტვირთელი საშუალებების მიხედვით;

K_9 - შემასწორებელი კოეფიციენტი სხვადასხვა ტიპის გადამტვირთელებიდან ზალპური დაცლისას;

B – გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი;

G - ობიექტის მწარმოებლობა ტ/სთ;

არაორგანული მტვრის გაფქვევის ანგარიში 8 ტონა/საათი წარმადობის წისქვილისათვის საჭირო რაოდენობის დანამატების საწყობში გადაყრისას

ღორღი:

$$K_1 = 0,04; K_2 = 0,02; K_3 = 1,2; K_4 = 0,2; K_5 = 0,1; K_7 = 0,6; K_8 = 1,0; K_9 = 1,0; B = 0,5; G = 2,955$$

$$M = 0,4 \times 0,04 \times 0,02 \times 1,2 \times 0,2 \times 0,1 \times 0,6 \times 1,0 \times 1,0 \times 0,5 \times 2,955 \times 10^6 / 3600 = 0,0019 \text{გ/წმ};$$

$$G = 0,0019 \times 110 \times 8 \times 3600 / 10^6 = 0,006 \text{ტ/წელ};$$

თაბამირი:

$$K_1 = 0,04; K_2 = 0,03; K_3 = 1,2; K_4 = 0,2; K_5 = 0,9; K_7 = 0,5; K_8 = 1,0; K_9 = 0,1; B = 0,5; G = 1,023$$

$$M = 0,4 \times 0,04 \times 0,03 \times 1,2 \times 0,2 \times 0,9 \times 0,5 \times 1,0 \times 1,0 \times 0,5 \times 1,023 \times 10^6 / 3600 = 0,0074 \text{გ/წმ};$$

$$G = 0,0074 \times 110 \times 8 \times 3600 / 10^6 = 0,023 \text{ტ/წელ};$$

არაორგანული მტვრის გაფქვევის ანგარიში 3 ტონა/საათი წარმადობის წისქვილისათვის საჭირო რაოდენობის დანამატების საწყობში გადაყრისას

ლორლი:

$$K_1 = 0,04; K_2 = 0,02; K_3 = 1,2; K_4 = 0,2; K_5 = 0,1; K_7 = 0,6; K_8 = 1,0; K_9 = 1,0; B = 0,5; G = 1,125$$

$$M = 0,4 \times 0,04 \times 0,02 \times 1,2 \times 0,2 \times 0,1 \times 0,6 \times 1,0 \times 1,0 \times 0,5 \times 1,125 \times 10^6 / 3600 = 0,00072 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,00072 \times 300 \times 8 \times 3600 / 10^6 = 0,0062 \text{ ტ/წელ};$$

თაბაშირი:

$$K_1 = 0,04; K_2 = 0,03; K_3 = 1,2; K_4 = 0,2; K_5 = 0,9; K_7 = 0,5; K_8 = 1,0; K_9 = 0,1; B = 0,5; G = 0,4$$

$$M = 0,4 \times 0,04 \times 0,03 \times 1,2 \times 0,2 \times 0,9 \times 0,5 \times 1,0 \times 1,0 \times 0,5 \times 0,41 \times 10^6 / 3600 = 0,00288 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,000048 \times 300 \times 8 \times 3600 / 10^6 = 0,025 \text{ ტ/წელ};$$

მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის საწყობში შენახვისას

ლიტერატურული წყაროს[2] მიხედვით ინერტული მასალების შენახვის დროს გამოყოფილი მტვრის წამური ინტენსივობა იანგარიშება ფორმულით:

$$M = K_3 \times K_5 \times K_6 \times K_7 \times q \times f \text{ (გ/წმ)} \text{----- (4), სადაც:}$$

K_3 – მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი;

K_5 – მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი;

K_6 – მასალის ზედაპირის პროფილის მახასიათებელი კოეფიციენტი და იცვლება საზღვრებში 1,3-1,6;

K_7 – გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

q - ფაქტიური ზედაპირის 1მ^2 ფართობიდან ატაცებული მტვრის წილი;

f - საწყობის მასალით დაფარული ფართობი;

იმავე ლიტერატურული წყაროს თანახმად, ფორმულაში შემავალი სიდიდეები წარმოდგენილია ცხრილში 5.4.

ცხრილი 5.4.

№	პარამეტრის დასახელება	აღნიშვნა	პარამეტრის მნიშვნელობა		
			კლინკერი	ლორლი (5-10)	თაბაშირი
1	2	3	4		
1	მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი	K_3	1,2	1,2	1,2
2	გარეშეზე მოქმედებისაგან საწყობის დაცვით უნარიანობა	K_4	0,5	0,2	0,2
3	მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტი	K_5	1,0	0,1	0,9
4	მასალის ზედაპირის პროფილის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_6	1,3	1,3	1,3
5	გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი	K_7	0,5	0,6	0,5
6	ფაქტიური ზედაპირის 1მ^2 ფართობიდან ატაცებული მტვრის წილი	q	0,002	0,002	0,002
7	საწყობის მასალით დაფარული ფართობი	f	350	180	70

გაფრქვევის სიმძლავრე(8760 სამუშაო საათი წელიწადში) ტოლია:
ცემენტის მტვერი:

$$M = 0,4 \times 1,2 \times 0,5 \times 1,0 \times 1,3 \times 0,5 \times 0,002 \times 350 = 0,11 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,11 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 3,469 \text{ ტ/წელ};$$

ღორღი:

$$M = 0,4 \times 1,2 \times 0,2 \times 0,1 \times 1,3 \times 0,6 \times 0,002 \times 180 = 0,0027 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,0027 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0,085 \text{ ტ/წელ};$$

თაბაშირი:

$$M = 0,4 \times 1,2 \times 0,2 \times 0,9 \times 1,3 \times 0,5 \times 0,002 \times 70 = 0,00786 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,00786 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0,248 \text{ ტ/წელ}$$

სულ საწყობიდან გაიფრქვევა:

ცემენტის მტვერი:

$$M = 0,0008 + 0,0003 + 0,11 = 0,1111 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,0025 + 0,0026 + 3,469 = 3,4741 \text{ ტ/წელ};$$

არაორგანული მტვერი:

$$M = 0,00019 + 0,00074 + 0,000072 + 0,000288 + 0,0019 + 0,0074 + 0,00072 + 0,00288 + 0,0027 + 0,00786 = 0,02475 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,0006 + 0,0023 + 0,00062 + 0,0025 + 0,006 + 0,023 + 0,0062 + 0,025 + 0,085 + 0,248 = 0,4 \text{ ტ/წელ}$$

მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის 8 ტონა/სთ წარმადობის წისქვილის მკვებავ ბუნკერში ჩაყრისას, გ-19

გაფრქვეული მტვრის ინტენსივობა (გ/წმ) იანგარიშება (1) ფორმულით, სადაც:

კლინკერი:

$$K_1 = 0,01; K_2 = 0,003; K_3 = 1,2; K_4 = 0,005; K_5 = 1,0; K_7 = 0,5; B = 0,4; G = 6,4.$$

$$M = 0,4 \times 0,01 \times 0,003 \times 1,2 \times 0,005 \times 1,0 \times 0,5 \times 0,4 \times 6,4 \times 10^6 / 3600 = 0,0000256 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,0000256 \times 2200 \times 3600 / 10^6 = 0,0002 \text{ ტ/წელ};$$

ღორღი(5-10):

$$K_1 = 0,04; K_2 = 0,02; K_3 = 1,2; K_4 = 0,005; K_5 = 0,1; K_7 = 0,6; B = 0,4; G = 1,182.$$

$$M = 0,4 \times 0,04 \times 0,02 \times 1,2 \times 0,005 \times 0,1 \times 0,6 \times 0,4 \times 1,182 \times 10^6 / 3600 = 0,000015 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,000015 \times 2200 \times 3600 / 10^6 = 0,00012 \text{ ტ/წელ};$$

თაბაშირი:

$$K_1 = 0,04; K_2 = 0,03; K_3 = 1,2; K_4 = 0,005; K_5 = 0,9; K_7 = 0,5; B = 0,4; G = 0,41.$$

$$M = 0,4 \times 0,04 \times 0,03 \times 1,2 \times 0,005 \times 0,9 \times 0,5 \times 0,4 \times 0,41 \times 10^6 / 3600 = 0,00006 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,00006 \times 2200 \times 3600 / 10^6 = 0,000475 \text{ ტ/წელ};$$

სულ გ-19 წყაროდან გაიფრქვევა:

ცემენტის მტვერი:

$$M = 0,0000256 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,0002 \text{ ტ/წელ};$$

არაორგანული მტვერი:

$$M = 0,000015 + 0,00006 = 0,000075 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,00012 + 0,000475 = 0,0006 \text{ ტ/წელ};$$

მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის 8 ტონა/სთ წარმადობის წისქვილის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას, გ-20

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$Q = Wc \times \alpha \times \gamma \times L \text{ (კგ/წმ)} \text{ -----(5), სადაც:}$$

$$Wc = 3 \times 10^{-5} \text{ კგ/მ}^2 \text{ წმ};$$

$$\alpha = 0,5\text{მ};$$

$$\gamma = 0,1;$$

$$L = 9\text{მ}.$$

გ-20 წყაროდან გაიფრქვევა:

$$M = 0,4 \times 0,00003 \times 0,5 \times 0,1 \times 9 \times 1000 = 0,0054\text{გ/წმ}$$

$$G = 0,0054 \times 2200 \times 3600 / 10^6 = 0,0427\text{ტ/წელ}.$$

ნედლეულის შემადგენელი ინგრედიენტების პროცენტული თანაფარდობის გათვალისწინებით:

ცემენტის მტვერი:

$$M = 0,0054 \times 0,8 = 0,00432\text{გ/წმ}$$

$$G = 0,0427 \times 0,8 = 0,034\text{ტ/წელ}$$

არაორგანული მტვერი:

$$M = 0,0054 \times 0,2 = 0,0011\text{გ/წმ}.$$

$$G = 0,0427 \times 0,2 = 0,00854\text{ტ/წელ}.$$

ცემენტის მტვრის გაფრქვევების ანგარიში 3 ტონა/სათი წარმადობის ბურთულეზიანი წისქვილიდან, გ-21

ცემენტის დაფქვისას (პერიფერიული დაცლით) წარმოქმნილი აირნარევის მოცულობა ლიტერატურული წყაროს [2] ყოველ 1 კგ ცემენტზე შეადგენს $0,7 \text{ მ}^3/\text{კგ}$ -ს, ხოლო მტვრის კონცენტრაცია აირნარევაში შეადგენს 300 გ/მ^3 . რადგან წისქვილის წარმადობა ტოლია 3 ტ/სთ-ის მაშინ წარმოქმნილი აირნარევის მოცულობა ტოლი იქნება $3 \times 0,7 \times 1000 = 2100 \text{ მ}^3/\text{სთ}$, ხოლო გასაწმენდად მოხვედრილი მტვრის გრამული ინტენსივობა ტოლი იქნება $2100 \times 300 / 3600 = 175,0 \text{ გ/წმ}$. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს აირნარევი პირველად გაივლის მტვერდამჭერ საკანს, რომლის ეფექტურობად მიღებულია 10%, მივიღებთ:

$$M = 175,0 - (175,0 \times 10 / 100) = 157,5 \text{ გ/წმ}$$

მეორე საფეხურის გამწმენდ დანადგარში, ციკლონში გავლის შემდეგ, რომლის გაწმენდის ეფექტურობად მიღებულია 70,0%, მივიღებთ:

$$M = 157,5 - (157,5 \times 70,0 / 100) = 47,25 \text{ გ/წმ}.$$

მესამე საფეხურის მტვერდამჭერ დანადგარში, რომელიც წარმოადგენს ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ სახელოიან ფილტრს, საერთო მტვერდამჭერის ხარისხით 99,9%, გავლის შემდგომ, მივიღებთ:

$$M = 47,25 - (47,25 \times 99,9 / 100) = 0,04725 \text{ გ/წმ}.$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ წისქვილის სამუშაო რეჟიმი შეადგენს 300 სამუშაო დღეს 20 საათიანი გრაფიკით, ანუ წელიწადში იმუშავენ 6000 სთ, მაშინ წლის განმავლობაში გაფრქვეული მტვრის რაოდენობა ტოლი იქნება:

$$G = 0,04725 \times 3600 \times 6000 / 10^6 = 1,021 \text{ ტ/წელ}.$$

მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის 3 ტონა/სთ წარმადობის წისქვილის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას, გ-22

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება (5) ფორმულით, სადაც:

$$Wc = 3 \times 10^{-5} \text{კგ/მ}^2\text{წმ}; \quad \alpha = 0,5\text{მ}; \quad \gamma = 0,1; \quad L = 9\text{მ}.$$

გ-22 წყაროდან გაიფრქვევა:

$$M = 0,4 \times 0,00003 \times 0,5 \times 0,1 \times 7 \times 1000 = 0,0042\text{გ/წმ}$$

$$G = 0,0042 \times 6000 \times 3600 / 10^6 = 0,091 \text{ტ/წელ.}$$

ნედლეულის შემადგენელი ინგრედიენტების პროცენტული თანაფარდობის გათვალისწინებით:

ცემენტის მტვერი:

$$M = 0,0042 \times 0,8 = 0,00336 \text{გ/წმ}$$

$$G = 0,091 \times 0,8 = 0,0728 \text{ტ/წელ}$$

არაორგანული მტვერი:

$$M = 0,0042 \times 0,2 = 0,00084 \text{გ/წმ.}$$

$$G = 0,0728 \times 0,2 = 0,01456 \text{ტ/წელ.}$$

მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის 3 ტონა/სთ წარმადობის წისქვილის მკვებავ ბუნკერში ჩაყრისას, გ-23

გაფრქვეული მტვრის ინტენსივობა(გ/წმ) იანგარიშება (1) ფორმულით, სადაც:

კლინკერი:

$$K_1 = 0,01; K_2 = 0,003; K_3 = 1,2; K_4 = 0,005; K_5 = 1,0; K_7 = 0,5; B = 0,4; G = 2,4.$$

$$M = 0,4 \times 0,01 \times 0,003 \times 1,2 \times 0,005 \times 1,0 \times 0,5 \times 0,4 \times 2,4 \times 10^6 / 3600 = 0,00001 \text{გ/წმ};$$

$$G = 0,00001 \times 6000 \times 3600 / 10^6 = 0,000216 \text{ტ/წელ};$$

ღორღი(5-10):

$$K_1 = 0,04; K_2 = 0,02; K_3 = 1,2; K_4 = 0,005; K_5 = 0,1; K_7 = 0,6; B = 0,4; G = 0,45.$$

$$M = 0,4 \times 0,04 \times 0,02 \times 1,2 \times 0,005 \times 0,1 \times 0,6 \times 0,4 \times 0,45 \times 10^6 / 3600 = 0,000006 \text{გ/წმ};$$

$$G = 0,000006 \times 6000 \times 3600 / 10^6 = 0,00013 \text{ტ/წელ};$$

თაბაშირი:

$$K_1 = 0,04; K_2 = 0,03; K_3 = 1,2; K_4 = 0,005; K_5 = 0,9; K_7 = 0,5; B = 0,4; G = 0,15.$$

$$M = 0,4 \times 0,04 \times 0,03 \times 1,2 \times 0,005 \times 0,9 \times 0,5 \times 0,4 \times 0,157 \times 10^6 / 3600 = 0,000022 \text{გ/წმ};$$

$$G = 0,000022 \times 6000 \times 3600 / 10^6 = 0,000475 \text{ტ/წელ};$$

სულ გ-23 წყაროდან გაიფრქვევა:

ცემენტის მტვერი:

$$M = 0,00001 \text{გ/წმ};$$

$$G = 0,000216 \text{ტ/წელ};$$

არაორგანული მტვერი:

$$M = 0,000006 + 0,000022 = 0,000028 \text{გ/წმ};$$

$$G = 0,00013 + 0,000475 = 0,0006 \text{ტ/წელ};$$

6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები (ასახულია ცხრილში 6.1.)

ცხრილი 6.1.

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მაგნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს					მაგნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროდან გაფრქვეულ მაგნე ნივთიერებათა რაოდენობა, ტ/წელი	
	ნომერი	დასახელება	რაოდენობა ცალი	ნომერი	დასახელება	რაოდენობა	მუშაობის დრო დღე-ღამეში, სთ	მუშაობის დრო წელიწადში, სთ	დასახელება	კოდი		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
ცემენტის წარმოება	გ-1	მილი	1	1	ბურთულებიანი წისქვილი, 8ტ/სთ	1	20	2200	ცემენტის მტვერი	2908	1,33	
	გ-2	არაორგანიზ	1	500	სილოსი	1	20	6000	ცემენტის მტვერი	2908	0,008	
	გ-3	არაორგანიზ	1	501	სილოსი	1	20	6000	ცემენტის მტვერი	2908	0,008	
	გ-4	არაორგანიზ	1	502	სილოსი	1	20	6000	ცემენტის მტვერი	2908	0,008	
	გ-5	არაორგანიზ	1	503	სილოსი	1	20	6000	ცემენტის მტვერი	2908	0,008	
	გ-6	არაორგანიზ	1	504	სილოსი	1	20	6000	ცემენტის მტვერი	2908	0,008	
